

შპს ჯეოფაიფ ჩემიკალ

თბილისი, აგლაძის 39

ს/ნ: 404525643

TEL: 571600677

შპს „ჯეოფაიფ ჩემიკალ„ (ს.ნ 404525643)

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თბილისი

2021 წლის 20 სექტემბერი

სარჩევი

კომპანია და მისი საქმიანობა	3
1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
2. მოგება - ზარალის ანგარიშგება	5
3. კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	6
მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	7
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10
1.1 ფული და ფულის ეკვივალენტები	10
1.2 სავაჭრო მოთხოვნები, ავანსები, სხვა	10
1.3 მარაგები, სხვა	10
1.4 საინვესტიციო ქონება	11
1.4 ძირითადი საშუალებები	11
1.5 ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	12
1.6 სხვა გრძელვადიანი აქტივები	12
1.7 მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხები	12
1.8 საგადასახადო ვალდებულებები	12
მოგება-ზარალის ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	13
2.1 ამონაგები	13
2.2 სხვა შემოსავლები	13
2.3 სხვა ხარჯები	13
2.4 ფინანსური ხარჯი	13
საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	14

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ჯეოფაიფ ჩემიკალი“ დაფუძნდა 2016 წლის 26 დეკემბერს, გადასახადის გადამხდელად კი დარეგისტრირდა 2017 წლის 16 იანვარს. კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, მდებარეობს საქართველოში და იმყოფება საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს რეგულირების ქვეშ. კომპანიის ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, თბილისი, აგლაძის ქ. 39.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ჯეოფაიფ ჩემიკალის“ მფლობელია ნინო შარაშიძე (100%).

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- არასპეციალიზებული საბითუმო ვაჭრობა;

- საკუთარი ან იჯარით აღებული საცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა;

- სხვა საქმიანობა, რაც მოქმედი კანონით არ არის აკრძალული.

ყოველდღიურ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს კომპანიის დირექტორი ირაკლი ღუმბაძე.

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

31.12.2018, 31.12.2019 და 31.12.2020 დასრულებული წლისთვის (ქართული ლარი)

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნა	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1.1	3,780	14,734	10,462
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1.2	916,433	288,704	835,257
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	1.2	116,252	315,882	112,574
სხვა მოკლევადიანი აქტივები	1.2	458	298	-
მარაგები	1.3	152,184	-	-
სხვა	1.3	387	-	-
საინვესტიციო ქონება	1.4	1,728,253	1,790,137	385,000
ძირითადი საშუალებები	1.4	171,158	185,363	444,668
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	1.5	4,226,814	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	1.6	-	285,945	639,199
სულ აქტივები		7,315,718	2,881,061	2,427,160
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	1.7	-	-	340,235
სავაჭრო ვალდებულებები	1.7	131,469	93,979	698,927
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	1.7	1,470	-	-
საგადასახადო ვალდებულებები	1.8	79,428	107,936	1,751
გამოუმუშავებელი შემოსავალი	1.7	37,830	66,137	6,480
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	1.7	1,687,207	-	123,406
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	1.7	2,204,085	298,714	351,142
სულ ვალდებულებები		4,141,489	566,766	1,521,940
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		3,174,229	2,314,295	905,219
სულ საკუთარი კაპიტალი		3,174,229	2,314,295	905,219
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		7,315,718	2,881,061	2,427,160

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი ი. ღუმბაძე



მთავარი ბუღალტერი მ. აფრიაშაშვილი

20 სექტემბერი, 2021

თბილისი, საქართველო

2. მოგება - ზარალის ანგარიშგება

31.12.2019 და 31.12.2020 დასრულებული წლისთვის (ქართული ლარი)

	შენიშვნა	12/31/2020	12/31/2019
ამონაგები	2.1	2,202,534	3,519,874
თვითღირებულება		-1,435,610	-2,307,602
საერთო მოგება		766,924	1,212,271
სხვა შემოსავლები	2.2	1,328,137	1,286,107
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი		-221,709	-357,387
სხვა ხარჯები	2.3	-943,807	-669,812
საოპერაციო მოგება		929,545	1,471,179
ფინანსური ხარჯი	2.4	-69,611	-62,104
მოგება დაბეგრამდე		859,934	1,409,075
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		859,934	1,409,075

ხელმომწერი პირები:

ი. ს. ჯ. ჯ.

დირექტორი ი. ღუმბაძე



მთავარი ბუღალტერი მ. აფრიაშაშვილი

20 სექტემბერი, 2021

თბილისი, საქართველო

3. კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

31.12.2018 , 31.12.2019 და 31.12.2020 დასრულებული წლისთვის (ქართული ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 31 დეკემბერი	-	905,219	905,219
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	-	1,409,076	1,409,076
გაცემული დივიდენდი	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	-	2,314,295	2,314,295
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	-	859,934	859,934
გაცემული დივიდენდი	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	-	3,174,229	3,174,229

ხელმომწერი პირები:

ი. ს. ჯ. 25/6

დირექტორი ი. ღუმბაძე



მთავარი ბუღალტერი მ. აფრიამაშვილი

20 სექტემბერი, 2021

თბილისი, საქართველო

მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. (2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის).

აღსანიშნავია, რომ შესადარისობისათვის 2020 წლის 31 დეკემბრის მონაცემებთან ერთად, გამოყენებულია 2018 და 2019 წლის დასრულებული პერიოდის მონაცემები.

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, რადგანაც ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ეს ვალუტა არის ყველაზე მოსახერხებელი წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებელთათვის და ყველაზე უკეთ ასახავს მიმდინარე პროცესებისა და გატარებების ეკონომიკურ ეფექტს კომპანიაზე.

უცხოური ვალუტის კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
1 აშშ დოლარი/ლარი	3.2766	2.8677	2.6766
1 ევრო/ლარი	4.0233	3.2095	3.0701

შპს ჯეოფაივ ჩემიკალ

თბილისი, აგლამის 39

ს/ნ: 404525643

TEL: 571600677

შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაწვიდან მიღებული შემოსავლები

მომსახურების გაწვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. შემოსავალი რეალიზაციიდან აღიარდება, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. როდესაც კომპანიას შეუძლია საიმედოდ შეაფასოს გაწეული მომსახურების შედეგები, მასთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გაწეული მომსახურების შესრულების სტადიის მიხედვით. თუ ამონაგები უკვე აღიარებულია და შემდეგ საეჭვო გახდება გადასახდელი თანხის ამოღება, ამოსაღები თანხა აღიარდება ხარჯის სახით და არა როგორც უკვე ასახული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა ან ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯიდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისთვის.

20 სექტემბერი, 2021

თბილისი, საქართველო

შპს ჯეოფაიფ ჩემიკალ

თბილისი, აგლამის 39

ს/ნ: 404525643

TEL: 571600677

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სასარგებლო მომსახურების ვადა:

ძირითადი საშუალებები	სასარგებლო ვადა(წელი)
მანქანა-დანადგარები	2-15
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-12
ოფისის აღჭურვილობა	2-12
სატრანსპორტო საშუალებები	2-10
სხვა	2-10

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებოპერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალურ ანგარიშგებაში.

ფინანსური იჯარა

იჯარა აღიარდება ფინანსურ იჯარად თუ ხორციელდება აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკის და სარგებლის გადმოცემა. სხვა დანარჩენი იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა. იჯარის ვადის დასაწყისისათვის ფინანსური იჯარა აღიარდება სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში როგორც აქტივი და ვალდებულება საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით, რომელიც გაანგარიშებულია იჯარის დასაწყისში. მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშებისათვის გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი არის საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი. თუ მისი დადგენა შეუძლებელია გამოყენებულია კომპანიას ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი. მინიმალური საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხული ფინანსური ხარჯებისა და გადაუხდელი ვალდებულებების შემცირების პროპორციულად. ფინანსური ხარჯები იჯარის მთლიანი ვადის განმავლობაში, თითოეულ საანგარიშგებო პერიოდზე ნაწილდება, რომ წარმოიქმნას მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი საანგარიშგებო პერიოდის ვალდებულებების ნაშთის მიმართ. პირობითი საიჯარო გადასახდელები ხარჯად აღირიცხება იმ პერიოდში, როდესაც იქნა გაწეული. ფინანსური იჯარა წარმოშობს ცვეთადი აქტივის ცვეთის ხარჯს, ასევე ფინანსურ ხარჯს ყოველ საანგარიშგებო პერიოდში. ფინანსურ იჯარაზე ცვეთის დარიცხვის პოლიტიკა შეესაბამება კომპანიის მიერ არჩეულ ცვეთის პოლიტიკას, რომელიც გამოიყენება კომპანიის მიერ ფლობილი აქტივებისათვის.

20 სექტემბერი, 2021

თბილისი, საქართველო

შპს ჯეოფაიფ ჩემიკალ

თბილისი, აგლაძის 39

ს/ნ: 404525643

TEL: 571600677

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში და ფულს ბანკში. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყიდად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება (მიწა ან შენობები, ან შენობის ნაწილი, ან ორივე ერთად), რომელსაც ფლობს მესაკუთრე, ან მოიჯარე ფინანსური იჯარის პირობებით, საიჯარო შემოსავლების მიღების ან ღირებულების ზრდის, ან ორივე მიზნით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1.1 ფული და ფულის ეკვივალენტები.

კომპანიის ფულადი სახსრები მითითებულ საანგარიშგებო პერიოდებში მოიცავს შემდეგს:

	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
ნაღდი ფული სალაროში	525	14,734	49
ფული საბანკო ანგარიშებზე	3,256	-	10,414
სულ:	3,781	14,734	10,463

1.2 სავაჭრო მოთხოვნები, ავანსები, სხვა.

	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	916,433	288,704	835,257
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	116,252	315,882	112,574
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	458	298	-
	1,033,143	604,884	947,831

1.3 მარაგები, სხვა...

	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
სასაქონლო მატერიალური მარაგი	152,184	-	-
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	387	-	-
სულ:	152,571	-	-

20 სექტემბერი, 2021

თბილისი, საქართველო

1.4 საინვესტიციო ქონება.

კომპანიამ, მითითებულ საანგარიშგებო პერიოდებში შეიძინა მიწის ნაკვეთები, შენობები საიჯარო შემოსავლების მიღების და ღირებულების ზრდის მიზნით.

	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
მიწის ნაკვეთები	609,178	609,178	385,000
შენობები	1,119,075	1,180,959	-
სულ:	1,728,253	1,790,137	385,000

1.4 ძირითადი საშუალებები.

	მანქანა- დანადგარები	დაუმთავრებელი მშენებლობა	ავჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2019	184,472	-	13,260	25,194	222,926
შემოსვლა	-	144,404	-	-	144,404
გასვლა	-184,472	-	-	-	-184,472
31 დეკემბერი 2020	-	144,404	13,260	25,194	182,858
ცვეთა					
31 დეკემბერი 2019	-32,795	-	-3,824	-945	-37,564
პერიოდის ცვეთა	-12,298	-	-4,412	-2519	-19,229
გასვლა	45,093	-	-	-	45,093
31 დეკემბერი 2020	-	-	-8,236	-3,464	-11,700
წმინდა საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2019	151,677	-	9,436	24,250	185,362
31 დეკემბერი 2020	-	144,404	5,024	21,730	171,158

ძირითადი საშუალებებისათვის ცვეთის დარიცხვის მეთოდი- წრფივი.

ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის საწვავის შესყიდვა წარმოებს ბარათებით და აღირიცხება შესყიდვის ღირებულებით და აღირიცხება მარაგების სახით განცალკევებულად. საწვავი ჩამოიწერება სასაქონლო ზედნადების ან ავტოსაგზაო ბარათების მიხედვით ფაქტობრივად გარბენილი კილომეტრებისა და ხარჯის ნორმების შესაბამისად.

შპს ჯეოფაიფ ჩემიკალ

თბილისი, აგლამის 39

ს/ნ: 404525643

TEL: 571600677

1.5 ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში

2020 წლის ივლისში, შპს ჯეოფაიფ ჩემიკალმა განახორციელა ინვესტიცია და შეისყიდა 49% - იანი წილი შპს ქართული მილის მეწილე ფიზიკური პირებისაგან.

1.6 სხვა გრძელვადიანი აქტივები

	მანქანა- დანადგარები ლიზინგი
31.12.2019	285,945
შემოსვლა	-
31.12.2020	285,945
	-321,688.00
გასვლა	35,743.07
31.12.2020	0

1.7 მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხები

	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	131469	93,979	698,927
მიღებული ავანსები	37,830	66,137	6,480
გადასახდელი ხელფასები	1470		
მოკლევადიანი სესხები			123,406
წილის ყიდვიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	1687132		
გრძელვადიანი სესხები	2204085	298,714	351,142
ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე			340,235
	4061986	458830	1520190

1.8 საგადასახდო ვალდებულებები.

	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
გადასახდელი დღგ	65341	107,936	1,751
სოციალური გადასახადი	75		
ქონების გადასახადი	14087		
	79503	107936	1751

20 სექტემბერი, 2021

თბილისი, საქართველო

მოგება-ზარალის ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**2.1 ამონაგები.**

ამონაგები	12/31/2020	12/31/2019
საქონლის გაყიდვა	1,825,411	2,435,468
მომსახურების გაწევა	377,123	1,084,406
სულ	2,202,534	3,519,874

2.2 სხვა შემოსავლები.

სხვა შემოსავალი	12/31/2020	12/31/2019
ძირ. საშუალების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	656,117	1,274,088
მოგება კურსთაშორის სხვაბიდან	375,770	12,019
დივიდენდები	294,000	
საშემოსავლო შეღავათი	2,250	
სულ	1,328,137	1,286,107

2.3 სხვა ხარჯები

სხვა ხარჯი	12/31/2020	12/31/2019
ძირ. საშუალების რეალიზაციის ხარჯი	-423,536	-568,696
ზარალი კურსთაშორის სხვაბიდან	-519,707	-45,722
სხვადასხვა	-563	-55,394
სულ	-943,807	-669,812

2.4 ფინანსური ხარჯი.

ფინანსური ხარჯი	12/31/2020	12/31/2019
საპროცენტო ხარჯი ბიზნეს სესხი	-69,611	-26,757
საპროცენტო ხარჯი ლიზინგი	-	-35,348
სულ	-69,611	-62,104

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია 2021 წლის 20 სექტემბერს ხელმძღვანელობის მიერ.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

ხელმომწერი პირები:

დირექტორი ი. დუმბაძე



მთავარი ბუღალტერი მ.აფრიაშვილი

20 სექტემბერი, 2021

თბილისი, საქართველო